ხელშეკრულება №234
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № CON130000014)

ქ. თბილისი „05“ „ივლისი“ 2013 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი **საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის** სახით და **მეორეს მხრივ, --შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი", შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი** შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“–ს იურისტის კახაბერ გოგოლაძის (პ/ნ 01006008662 თანახმად 8.04.2013 წლის მინდობილობისა, დამოწმებული ნოტარიუს ნ.გინტურის მიერ)- სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 დეკემბრის N2025 განკარგულებისა და ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ მის ბალანსზე არსებული დიზელ-გენერატორისთვის საწვავის შესყიდვა ეტაპობრივად, 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (CPV-09134200).
2.2. საწვავის შეძენა განხორციელდება საწვავის ტალონების საშუალებით.
2.3. საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების დანართი №2–ში (ავტოგასამართი სადგურების სია) განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 1056 (ათასორმოცდათექვსმეტი) ლარს.

შემოწმებულია იურიდიულ დეპარტამენტში
05 07 2013 წ.
ფურცელი

3.2. საწვავის რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარდა ტრანსპორტირების ხარჯებისა სითხის მიწოდების შემთხვევაში) მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

4. საქონლის ფასის დაანგარიშების პირობები

4.1 ტენდერში მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z" აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C/(R*(D/1000)*(100\%+18\%)) - P$$

რომელშიც: C - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ [შესაბამისი მარკის საწვავზე] (ლარში); R–აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2013 წლის მარტის თვის საშუალო არითმეტიკული; D - გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი [შესაბამისი მარკის საწვავის] სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3); 18% - დღგ; P - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2013 წლის მარტის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში.

4.2 მიმწოდებლის 1 ლიტრი საწვავის ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C=R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

სადაც: P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს, ხოლო Z და D გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ სიდიდეებს, რომლებიც უცვლელია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3 C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას საწვავის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში.

4.4 პლასტიკური ბარათით საწვავის შესყიდვის შემთხვევაში, C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი საწვავის მიწოდების კალენდარული თვის განმავლობაში არსებული ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,1 ლარით) ნაკლები.

4.5 ტალონის საშუალებით საწვავის შესყიდვის შემთხვევაში, C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის არსებულ ფასზე მინიმუმ 10 თეთრით (0,1 ლარით) ნაკლები.

4.6 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ მოხდა დამატებითი შეთანხმების სახით C-ს ცვლილების ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ გამარჯვებული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი თვის C-ს ოდენობით. C-ს ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სატენდერო კომისიას.

4.7 თუ შემსყიდველი მხარე განთავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საქონლის ფასი დაანგარიშდება წინამდებრე ხელშეკრულების მე–4 მუხლით გათვალისწინებული ფორმულის შედეგად დაფიქსირებულ ფასს (C) გამოკლებული დღგ.

4.8 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი მიმდინარე თვის მისაწოდებელი დიზელი L-62-ის 1 ლიტრის ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებელის ოფიციალურ ვებგვერდზე.

შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან
05.07.2013 წ.
ფურცელი

4.9 მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი დიზელი L-62-ის ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2013@spa.gov.ge

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. *მიმწოდებელი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის ტალონების მიწოდება, შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც დაუყოვნებლივ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ტალონის გადაცემის თაობაზე, შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს შალვა ელიზბარაშვილს, პ/ნ 01024023505) პირისათვის. (ტალონის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე).

ბ) შემსყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ტალონის წარდგენისთანავე უზრუნველყოს საწვავის მიწოდება.

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

ე) უზურნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.2. *მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ წინამდებარე ხელშკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

5.3. *შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) წერილობითი მოთხოვნა წარუდგინოს მიმწოდებელს, საწვავის შესყიდვის თაობაზე ელ.ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე tenders@sgp.ge, წერილობით მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს საწვავის დასახელება, მიწოდების სახე, რაოდენობა, უფლებამოსილი პირის ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტა.

ბ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შერჩეული უფლებამოსილი ლაბორატორიის მეშვეობით, ყოველკვარტალურად, სატენდერო კომისიის მიერ შერჩეული 3 ავტოგასამართი სადგურიდან უზრუნველყოს საწვავის სინჯის აღება და სატენდერო კომისიასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული პარამეტრების შემოწმება მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. სინჯის აღებას უნდა ესწრებოდეს სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი პირები, რომელთა თანდასწრებითაც სინჯი დაილუქება და გადაეცემა შესაბამის ლაბორატორიას.

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან

05. 07. 2013 წ.

ფურცელი

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება შემდეგნაირად:

7.2.1 «პლასტიკური ბარათების» შემთხვევაში - ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიწოდებული შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

7.2.2 «ტალონების შემთხვევაში»- ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

7.3 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასი გამოითვლება ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებული ფორმულის მეშვეობით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

9.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი *[შესაბამისი მარკის საწვავის]* ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით წინამდებარე ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დაჩენილი თვეების რაოდენობაზე.

შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან
05.07.2013 წ.
..... ფურცელი

9.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. *<u>წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:</u>*

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

11.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

11.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
03.07.2013 წ.
ფურცელი

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.
14.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ს.კ 203840433 მის: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22 ა.ა 200122900	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მის.: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ., №24 საიდენტიფიკაცო კოდი:202352514 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი:BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600 ტელ.: 249 97 57
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო მურჯიკნელი	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ - იურისტი კახაბერ გოგოლაძე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA
"SOCAR GEORGIA PETROLEUM" LTD 202352514

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
05.07.2013 წ.
ფურცელი

დანართი №1

2013 წლის "05"ივლისის" №234 ხელშეკრულებაზე

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო საორიენტაციო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები
1	დიზელი L-62	**(PPM 50** და მეტი)	600	1.76 ლარი	1056	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

შემსყიდველი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო
ს.კ 203840433
მის: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ა.ა 200122900

საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და
ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ნინო მურჯიკნელი

მიმწოდებელი:

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
მის.: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ., №24
საიდენტიფიკაცო კოდი:202352514
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი:BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600
ტელ.: 249 97 57

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"– იურისტი

კახაბერ გოგოლაძე

დანართი N2

ავტოგასამართი სადგურების ჩამონათვალი

ქ. თბილისი

მარჯვენა სანაპირო

1. **"დიდი დიღომი"** - *ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრი;*
2. **"ბოტანიკა"** - *ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზაზე, ბოტანიკის ინსტიტუტის წინ;*
3. **"ბელიაშვილი"** - *ქ. თბილისი, საკალათბურთო კლუბ "დინამოსათვის" დამაგრებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, ბელიაშვილის ქუჩაზე, ს.ს. "მიონის" საერთო საცხოვრებლის მოპირდაპირედ;*
4. **"გელოვანი"** - *ქ. თბილისი, გელოვანის გამზირზე, მედვინეობა-მევენახეობის ინსტიტუტის მოპირდაპირედ;*
5. **სოღანლუღი"** - *ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №54-54ა;*
6. **"ვახუშტი"** - *ქ. თბილისი, ვახუშტის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია;*
7. **"მარიჯანი"** - *ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩის დასაწყისი;*
8. **"თამარაშვილი"** – *ქ.თბილისი თამარაშვილის ქ. იპოდრომის მიმდებარედ*
9. **"საბურთალო"** - *ქ. თბილისი, ქუჩა საბურთალო №18, საქვაბის მიმდებარედ;*
10. **"თბილისი-სანაპირო"** - *ქ. თბილისი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ავტოგასამართი სადგური "გიოჩი"-სა და შ.პ.ს. "კედარი"-ს მიერ შეძენილ ტერიტორიას შორის;*
11. **"ალიგატორი"** – *ორთაჭალა რიტუალების სასახლის ქვემოთ ორთაჭალგესთან მიმდებარედ;*
12. **"გულია"**- *გულიას მოედანი;*

მარცხენა სანაპირო

13. **"ლილო"** - *ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, ნავთობბაზასა და მშენებარე ლუდის ქარხანას შორის (ნაკვეთი №5/3);*
14. **"ისანი"** - *ქ. თბილისი, აწყურის ქუჩისა და კახეთის გზატკეცილის გადაკვეთასთან;*
15. **"აეროპორტი I"** - *ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილზე, მარცხენა მხარეს, №44762 სამხედრო ნაწილის მიმდებარედ;*
16. **"აეროპორტი II"** - *ქ. თბილისი, სავაჭრო-საბითუმო ბაზა "ცეკავშირის" მიმდებარედ (ნაკვეთი №01/021);*
17. **"დიდუბე"** - *ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და გუდაუთის ქუჩის გადაკვეთაზე;*
18. **"ორთაჭალის ხიდი"** - *ქ. თბილისი, ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორია, რიტუალების სასახლის დაბლა;*
19. **"წერეთელი"** - *ქ. თბილისი, გამზირი აკ. წერეთელი №141ბ;*
20. **"ნავთლუღი I"** - *ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №10-ის მიმდებარედ, ხორცკომბინატში ჩასასვლელი გზის მარცხნივ;*
21. **"ნავთლუღი II"** - *ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №21-ის მოპირდაპირედ;*
22. **"შელიძე II'** *ქ.თბილისი შეშელ;იძის ქ. №34*
23. **"გურამიშვილი I"** - *ქ. თბილისი, გურამიშვილის ქ. №84 (ნაკვეთი №3/46);*
24. **"თბილისის ზღვა"** – *ქ.თბილისი ზღვის მიმდებარე ტერიტორია ნაკვეთი № 001/008*
25. **"ვარკეთილი"** - *ქ.თბილისი ჯავახეთის ქუჩა;*

26. **"ქერჩი"**- ქ. თბილისი, ქერჩის ქუჩა/ქ.თბილისი, ქერჩის ქუჩა, ნაკვეთი 19/069/ქ.თბილისი, ქერჩის ქუჩაზე ასს მიმდებარედ
27. **"გურამიშვილი II"** - გურამიშვილის გამზირი №84;
28. **"ვაზისუბანი"** – ვაზისუბანი №15;
29. **"კახეთის გზატკეცილი I"**
30. **"კახეთის გზატკეცილი II"**
31. **"სანაპირო II"** – ქსნის ქ. დიდიუბის ხიდთან;

<u>რეგიონები</u>

ქვემო-ქართლი

32. **"რუსთავის კომპლექსი"** - ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის ავტომაგისტრალის მე-19 კმ-ზე, ღერძიდან მარცხენა მხარეს 35 მ-ზე;
33. **"გარდაბანი"** - ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა, თბილსრესის მოედნის მიმდებარედ;
34. **"რუსთავი I"** - ქ. რუსთავი, XVI მ/რ-ნის მიმდებარე ტერიტორია;
35. **"რუსთავის ცენტრი"** – შარტავსა №4 ქ. რუსთავი;
36. **"თელეთი"** - გარდაბნის რაიონი, თელეთის საკრებულო, სოფელი წალასყური;
37. **"ბოლნისი"** - ქ. ბოლნისი - (ბოლნისის შესასვლელთან მარჯვენა მხარეს);
38. **"ფონიჭალა"** - გარდაბნის რაიონი, ფონიჭალის საკრებულო თბილისი-რუსთავის მ.;
39. **"დმანისი"** - ქ. დმანისი, შემოსასვლელი მონუმენტის მიმდებარე ტერიტორია;
40. **"მარნეული"** - ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა, ჩაის სახლის ტერიტორია;
41. **"ყიზილაჯლო"** - რაიონი მარნეული, სოფელი ყიზილაჯლო;
42. **"ფახრალო"** – ბოლნისის რაიონი სოფელი სავანეთი
43. **"კეპენეხჩი"** – ბოლნისის რაიონი სოფელი ქვემო ბოლნისი
44. **"შულავერი"** – მარნეულის რაიონი სოფელი ქვემო სარალი
45. **"სადახლო"** - მარნეულის რაიონი სოფელი სადახლო
46. **"თბილისი შემოვლითი"**- სოფელი მარტყოფი, გარდაბნის რაიონი;

კახეთი

47. **"ჩალაუბანი"** - გურჯაანის რაიონი, სოფელი ჩალაუბანი;
48. **"საგარეჯო"** - ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი №14;
49. **"ვაჩნაძიანი"** - რაიონი გურჯაანი, სოფელი ვაჩნაძიანი;
50. **"ვარდისუბანი"** - ქ. თელავი, სოფ. ვარდისუბანი - (ახმეტის მიმართულებით);
51. **"ყვარელი"** - ქ. ყვარელი;
52. **"დონა"** - ლაგოდეხის რაიონი, სოფელი დონა;
53. **"იორმუღანლო"** – საგარეჯოს რაიონინ სოფელი
54. **"წნორი"** - სიღნაღის რაიონი, სოფელი საქობო;
55. **"გომბორი"** - ქ. თელავი, სოფ. ვარდისუბანი - (გომბორის მიმართულებით);
56. **"კაბალა"**- სოფელი დონა, ლაგოდეხის რაიონი;
57. **"ახმეტა"** – რუსთაველის ქ. ახმეტა;
58. **"დედოფისწყარო"** – რუსთაველის ქ.;

რაჭა-იმერეთი

59. *"ქვიტირი I" - წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი;*
60. *"ზესტაფონი - კომპლექსი" - ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №15;*
61. *"კვახჭირი" - თერჯოლა, სოფელი კვახჭირი;*
62. *"ხარაგაული" დაბა ხარგაული სოლომონ მეფის ქუჩა 86*
63. *"იანეთი" - სამტრედიის რაიონი, სოფელი იანეთი;*
64. *"ქუთაისი-1" - ქ. ქუთაისი, შ. პირველის ქ. შესახვევი II, №4; შ. პირველის ქ.№2ა; შ. პირველის ქ. შესახვევი II, №2; ფხაკაძის ქ №16;*
65. *"ქუთაისი-2" – ჭავჭავაძის გამზირი 1ა*
66. *"ქუთაისი-3" – ჭავჭავაძის გამზირი*
67. *"ტყიბული" - ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ № 17*
68. *"სამტრედია" ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა №7*
69. *"ამბროლაური" ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა;*
70. *"ამბროლაური" – ვაჟა-ფშაველას ქ. ამბროლაური;*
71. *"ჭიათურა" – ქ. ჭიათურა;*

აჭარა

72. *"ლეონიძე" - ქ. ბათუმი, ხახულის ქუჩა.*
73. *"ბათუმი - ლერმონტოვი" - ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №105;*
74. *"ბათუმი-ბარცხანა" - ქ. ბათუმი, ქუჩა თამარ მეფის გამზირი;*
75. *"ბათუმი გოგებაშვილი" - 33 გოგებაშვილის ქ. ბათუმი;*
76. *"გონიო" - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გონიო;*
77. *"საბაჟო"- ქ.ბათუმი კახაბერის დასახლება;*
78. *"სოკარი მაგდონალდი" – ხიმშიაშვილის ქ. ბათუმი;*
79. *"ქედა" – სოფელი ცხემნა;*
80. *"ხელვაჩაური" – ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ეჯინისწყალი;*

ქართლი – ახალციხე

81. *"გორი" - ქ. გორი, გზატკეცილი ცხინვალი №8;*
82. *"ხაშური" - ქ. ხაშური, იმერეთის ქ. №36;*
83. *"ბორჯომი" - ქ. ბორჯომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა;*
84. *"აგარა" - ქარელის რაიონი, სოფელი ქვენაგ კოცა;*
85. *"ურბნისი - კომპლექსი" - ქარელის რაიონი, სოფელი ურბნისი;*
86. *"ახალციხე" – აბასთუმნის გზატკეცილი ახალციხე;*
87. *"ბაკურიანი" – თბილისიდან შესასვლელი მარჯვენა მხარეს;*

88. **"ფოთი - აღმაშენებელი"** - ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა;
89. **"ზუგდიდი"** - ზუგდიდი, ჭითაწყარი;
90. **"დაფნარი"** - სამტრედია, სოფელი დაფნარი ;
91. **"სენაკი"** - ქუჩა მ. ღვინჯილია №4 ქ. სენაკი.;
92. **"ჩოხატაური"** - ქ. ჩოხატაური, დუმბაძის ქ №41;
93. **"ოზურგეთი"** - ქ. ოზურგეთი, ე. თაყაიშვილის ქუჩა;
94. **"მესტია"**- მესტიის რაიონი დაბა მესტია ფარჯიანის ქ.
95. **"ჯვარი"** – ანდრია პირველწოდებულის ქ. ჯვარი;
96. **"ფოთი II"** – გურიას ქ. №195
97. **"წალენჯიხა"** – ქ. წალენჯიხა;
98. **"თეკლათი"** – სენაკის რაიონი სოფ. თეკლათი. ფოთი-ზუგდიდის გზის გასაყარზე;
99. **"ინგირი"** – ქ. ზუგდიდი, სოფელი ინგირი;
100. **"ლანჩხუთი"** – აღმაშენებლის ხეივანი;

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათასცამეტი წლის რვა აპრილს მე, ნოტარიუსს **ნ. გინტურს,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართა ბატონმა **დავით შარინაშვილმა.** მან განაცხადა, რომ **შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს** (რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 22 სექტემბერს საიდენტიფიკაციო №202352514, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. №56) დირექტორს ბატონ **დავით ზუბიტაშვილს** სურს ბატონ **ქახაბერ გოგოლაძისათვის** უფლებამოსილების მინიჭება და ამისათვის სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება და მოითხოვა, რომ სანოტარო მოქმედება შემესრულებინა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქუჩა №24-ში. მე წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ ჩემს სანოტარო ბიუროში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შევადგინე მინდობილობა, რაც წარვუდგინე **შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს** ოფისში შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, 300 არაგველის ქუჩა №24-ში დავით ზუბიტაშვილს** (დაბადებული 01.02.1949წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, პ. ბაგრატიონის №54, პირადი №01030004652, პ/მ №ბ 1046428, გაც. 01.03.2007წ. სრს ჩუღურეთის სამსახურის მიერ) და წაეკითხე მას. მე შევამოწმე **დავით ზუბიტაშვილის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"**, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან განაცხადის ნომერი: 600347, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13034816, ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/04/2013 14:19:19, საიდენტიფიკაციო №202352514. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე **დავით ზუბიტაშვილის** ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. **დავით ზუბიტაშვილმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას: **სანოტარო მოქმედება შეესრულა მისამართზე ქ. თბილისი, 300 არაგველის ქუჩა №24-ში.**

მინდობილობა

ორიათასცამეტი წლის რვა აპრილი. **შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს** (რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 22 სექტემბერს საიდენტიფიკაციო №202352514, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. №56) დირექტორმა ბატონმა **დავით ზუბიტაშვილმა** (დაბადებული 01.02.1949წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, პ. ბაგრატიონის №54, პირადი №01030004652, პ/მ №ბ 1046428, გაც. 01.03.2007წ. სრს ჩუღურეთის სამსახურის მიერ), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მიმნდობი", **ქახაბერ გოგოლაძეს** (დაბადებული 14.06.1981წ. ქ. თბილისში, მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი; კვ.6 კორპ 22ა; ბ.26, პირადი №01006008662, პ/მ №დ 1308459, გაც. 12.06.2009 წ.), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება, „მინდობილი პირი" უფლებამოსილია საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ყველა სახის ხელშეკრულებებს და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს ნებისმიერი საჭირო მოქმედება.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორიათასთოთხმეტი (2014) წლის თხუთმეტ (15) აპრილამდე.

წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს" ხმამაღლა წაეკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა" მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო არქივში, ხოლო მეორე გადაეცა მინდობილ პირს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, ოცი (20) ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 34-ე მუხლის II ნაწილისა სანოტარო მოქმედების სანოტარო ბიუროს შენობის გარეთ შესრულებისათვის, აგრეთვე დღგ: ხუთი (5) ლარი და ორმოცი (40) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ოცდაჩვიდმეტი (37) ლარი და ორმოცი (40) თეთრი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ / ნ. გინტური /